ბარბარე კოპალეიშვილი

კავკასიის ბიზნესის სკოლა

ინჰოლანდის გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტი, ჰოლანდია

Erasmus+ პროგრამით უცხოეთში სწავლა კავკასიის უნივერსიტეტში ჩაბარებისთანავე მქონდა გადაწყვეტილი. მესამე კურსის მეორე სემესტრში კი ეს ოცნება რეალობად ვაქციე და ერთი სემესტრი გავატარე ნიდერლანდებში.

ინჰოლანდის გამოყენებითი მეცნიერებათა უნივერსიტეტში სწავლა იყო სრულიად ახალი გამოცდილება ჩემთვის. მთავარი ყურადღება ექცეოდა პრაქტიკულ სავარჯიშოებს, რაც ძალიან მნიშვნელოვანია პროფესიული განვითარებისთვის. კომპანიებთან ერთად პროექტებზე მუშაობამ დამიხვეწა პრაქტიკული უნარები და ბიზნეს სამყარო უკეთესად გამაცნო.

ნიდერლანდებში ცხოვრებამ მომცა შანსი გამეგო მეტი ახალ კულტურაზე და ვყოფილიყავი გარემოცული სტუდენტებით მსოფლიოს ყველა კუთხიდან. სრულიად ახალ გარემოში ყოფნა არც თუ ისე ადვილია, მაგრამ ამ ადამიანებთან ერთად მოვახერხე გამეტარებინა ყველაზე დაუვიწყარი 6 თვე. მათთან ერთად პროექტებზე მუშაობა, მოგზაურობა და საკუთარი გამოცდილების ერთმანეთთან გაზიარება იყო ყველაზე დასამახსოვრებელი ნაწილი Erasmus+ პროგრამის.

ძალიან მიხარია, რომ მომეცა შესაძლებლობა მონაწილეობა მიმეღო ამ პროექტში. Erasmus+ პროგრამა არ არის მხოლოდ მოგზაურობა სხვა ქვეყანაში, ეს არის წინ გადადგმული ნაბიჯი პროფესიული და პიროვნული განვითარებისკენ.